კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლევან ქურდაძე

მულტინაციონალური კომპანიის გავლენა მიმღებ ქვეყანაზე

საქართველოს მაგალითზე

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი

თეა კასრაძე

თბილისი 2020

სარჩევი

ანოტაცია....3

შესავალი....5

თავი1. მულტინაციონალური კომპანიები,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა მიმღებ ქვეყნებზე....7

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვალებადი ტენდენციები....7

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენები განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის....12

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები....17

1.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი გავლენები მიმღებ ქვეყანაზე....24

თავი 2. მულტინაციონალური კომპანიების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე შესვლის სტრატეგიები....29

2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების და ინდუსტრიების მიხედვით....29

2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე შესვლის სტრატეგიები....33

2.3 შერწყმა და შესყიდვა (Merge and Acquisition) - ბაზარზე შესვლის თანამედროვე სტრატეგია....39

2.4 საინვესტიციო პოლიტიკის ტენდენციები და საქართველო....43

თავი 3. მულტინაციონალური კომპანიები და საქართველო....47

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები საქართველოში....47

3.2 მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის გავლენა და შედეგები....52

დასკვნა....56

ანოტაცია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილია განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. ამრიგად ქვეყნოს ბიზნეს გარემოს ფორმირებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიები პუი-ს მიღების, შენარჩუნების და განვითარების მიმართულებით.

მოცემულ ნაშრომში განხილულია პუი-ს ძირითადი ტენდენციები, გავლენები და შედეგები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია პუი-ს ტენდენციები, გავლენები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, დადებითი და უარყოფითი ფაქტორები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მოტივაციები.

მეორე თავში განხილულია პუი-ს ძირითადი მიმღები ქვეყნები და ინდუსტრიები, პუი-ს ბაზარზე შესვლის სტრატეგიები და საინვესტიციო პოლიტიკის ტენდენციები.

მესავე თავში კი განხილულია საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა, ძირითადი მიმღები ინდუსტრიები და მულტინაციონალური კომპანიების გავლენები ადგილობრივ კომპანიებზე.

დასკვნაში კი წარმოდგენილია მოცემული კვლევის შედეგები.

Levan Kurdadze

The Impact of Multinational Company on Host Country

Annotation

FDI is essential part of country development especially for those in transition economies.

Thus in the formation of the business environment of the coutry, it is necessary to take into consideration the strategies for attracting, developing and maintaining the Foreign Direct Investments.

This paper discusses the major trends, impacts and consecuences of FDI on the economy of the recipient country.

The first part of the paper discusses the FDI trends, impacts on the host country's economy, positive and negative factors, and key motivations for FDI.

The second chapter discusses the major receiving countires and industries of FDI, FDI market entry strategies, and investment policy trends.

The third chapter discusses the dynamics of FDI inflows in Georgia, the main recipient industries in Georgia and the impact of MNEs on local companies.

Conlusion presents the results of this paper.

შესავალი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც 21-ე საუკუნის მწვავე განხილვის საგანი გახდა ეკონომისტებს შორის არის მულტინაციონალური კომპანიების გავლენა მიმღების ქვეყნოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ერთის მხრივ მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მაშინ როცა საუბარი ეხება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას. დიდია მათი წვლილი ტექნოლოგიების, „ნოუ-ჰაუს“ თუ პროფესიული უნარების გადაცემასა და ქვეყანას საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში, ადგილობრივი მომხმარებლებისთვის გონივრულ და უკეთეს ფასად ხარისხიანი სერვისისა თუ პროდუქციის მიწოდებაში.

მეორეს მხრივ შესაძლოა მულტინაციონალურმა კომპანიებმა იქონიონ პირიქით, უარყოფითი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე ადგილობრივი კომპანიების ბაზრიდან გამოძევებით, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე მონოპლიის ან ოლიგოპოლიის ჩამოყალიბებას.

შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციები, რომლის შემოედინება ქვეყანაში მულტინაციონალური კომპანიების გავლით, ახდენს როგორც დადებით ასევე უარყოფით გავლენას მიმღებ ქვეყანაზე, ამიტომ ის უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფონზე და გაირკვეს რა დადებითი თუ უარყოფითი გავლენის მომტანი შეიძლება იყოს მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობა მიმღებ ქვეყანაზე.

მოცემულ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა გარემოებები, რომელზეც პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენენ მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობები, მაგალითად, სახელმწიფო პოლიტიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; მულტინაციონალური კომპანიების ინვესტიციების მოტივაციები; მუტინაციონალური კომპანიების შესვლის სტრატეგიები ადგილობრივ ბაზარზე და სხვა.

როდესაც ვსაუბრობთ მულტინაციონალური კომპანიების გავლენასა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მულტინაციონალური და ადგილობრივი კომპანიების ურთიერთობის ხარისხის საკითხი. იგი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება 21-ე საუკუნის ფონზე, მაშინ როცა მულტინაციონალური კომპანიების როლი გლობალურ ეკონომიკაში ყოველდღე იზრდება.

შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი ხდება გავარკვიოთ თუ რა გზებით და როგორ შეაქვთ წვლილი მულტინაციონალურ კომპანიებს ადგილობრივი ფირმების განვითარებაში. ეხმარებიან ისინი ადგილობრივ ფირმებს უკეთესი პროდუქტის ან სერვისის წარმოებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, თუ პირიქით ისინი იყენებენ ძალას და შესაძლებლობას ადგილობრივი ფირმების გამოძევებისათვის? ამისთვის უფრო უკეთესად უნდა გაეცეს პასუხი კითხვებს როგორებიცაა: აქვთ თუ არა მათ ადგილობრივ კომპანიებთან ურთიერთობის სურვილი? მოახდენენ თუ არა ინვესტიციების ჩადებას ადგილობრივი ფირმების გასავითარებლად და მოსაზღვრე ინდუსტრიების გასაძლიერებლად? შესაბამისად ყოველივე ამის გარკვევის შემდეგ ჩვენ შევძლებთ შევაფასოთ თუ რამდენად დადებითი თუ უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს მიმღებ ქვეყანაზე პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, რომელიც შემოედინება მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან.

კვლევის მიზანია საქართველოს მაგალითზე, გავარკვიოთ თუ რა გავლენას ახდენს მულტინაციონალური კომპანიების შემოსვლა ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებაზე, რამდენად მჭირდო კავშირები მყარდება მულტინაციონალურსა და ადგილობრივ კომპანიებს შორის და ზოგად შეფასდეს დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები.

თავი1. მულტინაციონალური კომპანიები,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა მიმღებ ქვეყნებზე

1.1პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ცვალებადი ტენდენციები

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების დინება არ წყდება განვითარებად ქვეყნებში ამას ხელი ვერც მწვავე ფინანსურმა კრიზისებმა და ვერც ეკონომიკურმა ვარდნებმა შეუშალა ხელი. პირიქით, ეკონომისტები განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას ვარაუდობენ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი თავს იყრის აზიის ქვეყნებში (ძირითადად ჩინეთი) და სწრაფად მზარდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში პირდაპირი უხროური ინვესტიციების მიზნობრიობა შეიცვალა ინდუსტრიების მიხედვით, მაშინ როცა ისინი ძირითადად მიზანმიმართულნი იყვნენ ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი ინდუსტრიებისკენ ან ბაზრის ათვისებაზე, ახლა კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმართულია სერვისის მიმწოდებელ ინდუსტრიებზე. უფრო მეტიც შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინტერესი სტრატეგიული ქტოვების მოძიების და მოზიდვის მიმართულებით ძირითადად აღნიშნული ინვესტიციების ინტერესის სფეროში

ხვდებიან შედარებით უფრო მაღალ დონეზე განვითარებული ზიგიერთი აზიური ქვეყანა.

ძირითადად ამ შევთხვევებში ხდება მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან მზარდი და სწრაფად განვითარებადი კომპანიების შეძენა და შერწყმა, რაც თავის მხრივ იმის მანიშნებელია, რომ მზარდი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ცდილობენ განავითარონ კონტრეტული ინდუსტრიები რაც უფრო მიმზიდველს გახდის მათ მულტინაციონალური კომპანიების ინტერესის სფეროში მოსახვედრად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ 90-იანი წლების მიწურულს ხდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მხოლოდ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინება უკვე განვიითარებადი ქვეყნებიდანაც.

პირდაპირი უხცოური ინვესტიციების ნაკადების ცვლილებები აიხსნება რიგი გარემო ფაქტორებით რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ინდუსტრიების განვითარებით მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა რომლებიც ორიენტირებულნი არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე რაც თავის მხრივ გამოიხატება ლმობიერი საინვესტიციო პოლიტიკით, უკეთესად განვითარებული ინფრასტუქტურით, გაუმჯობესებული ცოდნისა თუ უნარ-ჩვევების დონით, ადგილობრივი სამრეწველო ინდუსტრიების განვითარებით რომლებიც მზად არიან მულტინაციონალურ კომპანიებთან თანამშრომლობისათვის.

პარალელურად შეინიშნება ფუნდამენტალური ცვლილებები მულტინაციონალური კომპანიების პოლიტიკაში, ისინი მზად არიან უკეთესად გამოიყენონ ადგილობრივი კომპანიების რესურსები, ეს ყოველივე კი ხელს უწყობს ადგილობრივი ინდუსტრიების უკეთ განვითარებას ასევე მულტინაციონალური კომპანიების და აგილობრივი ფირმების ურიერთობის გაღრმავებას, რაც ბოლო ათწლეულის

განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა. მოცემულ თავში შევეცდები სიღრმისეულად განვიხილო პუი-ს გლობალური ტენდენციები.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის როლი სულ უფრო და უფრო იზრდება, რადგან მას დიდი ადგილი უკავია საერთაშრისო ვაჭრობის კონიუნქტურის ფორმირებაში. ამ პროცესმა საზღვრების გახსნით ხელი შეუწყო ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და დაეხმარა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, სწრაფ ზრდაში.

შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო გლობალიზაციის ანგარიშს რომელიც 200-ზე მეტი ქვეყნის მონაცემს ეყრდნობა და ამასთან მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს.

*გლობალიზაცია საქართველოში 1997-2017 წლები, წყარო: KOF Globalisation Index

ცხრილი 1



როგორც გრაფიკიდან(იხ.ცხრილი 1) ჩანს გლობალიზაციის ინდექსი საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში იზრდება და აღსაღნიშნავია ისიც რომ ბევრ ევროპის ქვეყანაზე კარგი მაჩვენებელიც კი გვაქვს. მსოფლიო ბანკის ანგარიშიც, რომელიც გამოქვეყნდა ბიზნესის კეთების სიმარტივის მიმართულებით ადასტურებს, რომ საქართველო ერთ-ერთი ხელსაყრელი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების მიმართულებით.
მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემებით საქართელო მე-7 ადგილს იკავებს ბიზნესის კეთების მიმართულებით, მაშინ როცა ჩვენი მეზობელი ქვეყნები რუსეთი 28-ე , თურქეთი 33-ე, აზერბაიჯანი 34-ე, სომხეთი კი 47-ე ადგილებს იკავებენ (World Bank-Easy of Doing Business Index 2019).

თუმცა არსაღნიშნავია ისიც, რომ მოცემული მაჩვენებელი გამოსახავს ბიზნესის რეგისტრაციის კუთხით შემსუბუქებულ რეგულაციებს. რომლის შემდეგადაც ბიზნესის რეგისტრირება უფრო მარტივი ხდება.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ.ცხრილი 2) წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის ანგარიშის საფუძველზე საქართველოს პოზიციები 10 მთავარი კრიტერიუმის გათვალისწინებით.

ცხრილი 2

	კრიტერიუმი	ადგილი
1	ბიზნესის დაწყება	8
2	სამშენებლო ნებართვის აღება	8
3	ელექტრო ენერგიის მიწოდება	39
4	უძრავი ქონების რეგისტრაცია	3
5	კრედიტის აღება	7
6	აქციონერების უფლებები	7
7	საგადასახადო სისტემები	22

8	საგარეო ვაჭრობის სიმარტივე	54
9	ხელშეკრულების აღსრულება	16
10	გადახდისუუნარობის საქმის წარმოება	106

ხოლო ქვემოთ მოცემული ცხრილი (იხ ცხრილი 3) გვიჩვენებს ეკონომიკის გლობალიზაციის ინდექს პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში. 2009-2017 წლებში

ცხრილი 3

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
სომხეთი	63.5	60.95	59.33	63.49	65.04	64.16	63.62	67.67	68.21
აზერბაიჯანი	64.55	65.54	62.56	58.97	59.05	60.71	62.09	61.37	59.14
საქართველო	63.85	75.51	77.96	76.68	79.51	80.11	81.36	82.2	83.01
უკრაინა	55.57	58.72	60.37	66.02	63.5	64.48	65.79	67.82	68.42
მოლდოვა	65.82	68.82	66.91	62.89	62.33	64.06	61.16	61.53	61.96
პოლონეთი	70.09	74.22	70.14	72.31	72.66	70.13	72.1	74.48	77.06
ესტონეთი	88.9	90.05	88	86.8	88.47	87.18	86.86	85.71	87.54

წყარო: KOF Globalisation Index

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველო გლობალიზაციის ინდექსის გათვალისწინებით მეორე ადგილს იკავებს საბჭოთა ქვეყნებს შორის და უსწრებს ისეთ სახელმწიფოებს როგორებიცაა პოლონეთი, უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი. ხოლო ბიზნესის კეთების სიმარტივით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის 7-ე ადგილს იკავებს.

1.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენები განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს შეიძლება ქონდეთ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები ინდუსტრიული თუ ეკონომიკურ ჭრილში.

გარდა იმისა, რომ მულტინაციონალური კომპანიებისგან ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ცოდნის შემოტანა და ბაზრის შესაძლებლობების განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე ხელს უწყობს უკეთესი სერვისისა თუ პროდუქციის შექმნა-განვითარებას რაც თავის მხრივ გამოიხატება უკეთესი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში რომელიც საბოლოოდ აისახება მომხმარებლის კეთილდღეობაზე.

მულტინაციონალური კომპანიების მუდმივად მზარდი შესაძლებლობები აძლიერებს მათ გავლენას მიმღები ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებაზე. მათ შეუძლიათ ჩაახშონ კონკურენცია ადგილობრივ ბაზარზე და ხელთ იგდონ რიგი ინდუსტრიების სადავეები. განსაკუთრებით მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების რიცხვი მატულობს და იზრდება კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით.

მილტინაციონალური კომპანიების შემოსვლა რიგ შემთხვევებში საკმაოდ მტკივნეულიც შეიძლება იყოს ადგილობრივი კომპანიებისთვის რაც გამოიხატება არამხოლოდ პროდუქციის ან სერვისის მწარმოებელი კომპანიებისთვის არამედ

შრომითი ბაზრისთვისაც, უფრომეტიც მულტინაციონალურმა კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ კონკურენტული უპირატესობაც ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით და მიიღონ დამატებითი პრივილეგიები რომელიც არ გავრცელდება ადგილობრივ ფირმებზე.

ხოლო თუ ადგილობრივი კომპანიები მოახერხებენ შესაბამისი ურთიერთობების დამყარებას მულტინაციონალურ კომპანიებთან მათ გარდა ეკონომიკური ზრდისა ექნებათ შესაძლებლობა გადაიღონ და დანერგონ მაღალი კორპორატიული კულტურა ორგანიზაციაში, გაიღრმაონ მარკეტინგული უნარ-ჩვევები, დანერგონ მენეჯმენტის მაღალი სტანდარტები კომპანიაში და სხვა.

მულტინაციონალური კომპანიების და ადგილობრივი ფირმების ურთიერთოებების ანალიზისას შეგვიძლია ვისაუბროთ ორ ძირითად მიმართულებაზე: მულტინაციონალური კომპანიების და ადგილობრივი ფირმების ურთიერთობების შედეგები და მოცემული ურთიერთობების ფორმები.

თეორიული თუ ემპირიული ლიტეტრატურა რომელიც გვხვდება სხვადასხვა წყაროებში ძირითადად აფასებს გავლენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უშუალო გავლენებს ქვეყანაზე როგორიცაა: დამატებითი კაპიტალის შედინება ქვეყანაში, სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ (MacDougall, 1960) სხვა წყაროებს რაც შეეხება (UNCTAD, 1992) რომელსაც 90-იანი წლების დასაწყისში დიდი ყურადღება ექცეოდა შეეცადა შეეფასებინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაკროეკონომიკური გავლენები მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ზოგიერთი კვლევის თანახმად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დადებითი გავლენა აქვსთ მიმღებ ქვეყანაზე (Borensztein et al., 1998;De Mello, 1999; Chan, 2000) ხოლო ზოგიერთი კველა კი მსგავს დადებით შედეგებს საერთოდ ვერ პოულობს.(Hein,1992; Singh, 1998)

თუმცაღა შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირპადირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ნადმვილად შეიძლება იქონიონ დადებითი გავლენა რაც გამოხატული უნდა იქნას

ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და მენეჯერული კულტურის შემოდინებებით მიმღებ ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მულტინაციონალური კომპანიები მიდრეკილნი არიან საკუთარი რესურსების აქტივებისა თუ ცოდნის დაცვისკენ რათა არ მოხდეს მათი გამოყენება კონკურენტების მხრიდან, მაინც არის შემთხვევები როცა ადგილობრივი კომპანიები ახერხებენ მოცემული კონკურენტული უპირატესობების ათვისებას და გამოყენებას. მოცემული კონკურენტული უპირატესობები შეიძლება არაპირდაპირი(ადგილობრივი კონკურენტები) ან პირდაპირი(ადგილობრივი პარტნიორი კომპანიები) გზებით იქნას გადაცემული ადგილობრივ კომპანიებზე.

სხვადასხვა ლიტერატურაში მეტწილად გამოყოფილია ორი ძირითადი კატალისტური ეფექტი მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ადგილობრივ კომპანიებაზე: ჰორიზონტალური ეფექტები ადგილობრივ კონკურენტებზე და ვერტიკალური ეფექტები ადგილობრივ პარტნიორ კომპანიებზე რომლებიც შეიძლება იყვნენ ადგილობრივი მიმწოდებლები, დისტრიბუტორები და სხვა.

მოცემული გავლენების თუ ეფექტების უკეთ დასანახად დაგვეხმარება ქვემოთ მოცემული ცხრილი(იხ.ცხრილი 4) ჰორიზონტალური და ვერტიკალური ეფექტების მულტინაციონალური კომპანიებისა ადგილობრივ ფირმებზე.

ცხრილი 4

	ვერტიკალური ეფექტი	ჰორიზონტალური ეფექტი	საბოლოო ეფექტი
1	+	+	+
2	+	0	+
3	-	-	-
4	0	0	0
5	+	-	?

(+)- დადებითი ეფექტი

(-) - უარყოფითი ეფექტი

(0)- უმნიშვნელო ეფექტი

(?)- გაურკვეველი ეფექტი

მოცემულ ცხრილში გამოსახულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების, მათი შესაძლო გავლენების და ეფექტების საბოლოო შედეგები მიმღებ ქვეყანაზე.

პირველ შევთხვევაში ნაჩვენებია ის შესაძლო გავლენა რაც შეიძლება მოახდინოს პუი-მ მიმღებ ქვეყანაზე, მოცემულ შევთხვევაში როგორც ჰორიზონტალური ასევე ვერტიკალური ეფექტები დადებითია რაც ნიშნავს იმას, რომ მულტინაციონალური კომპანიების შემოსვლა ადგილობრივ ბაზარზე იმოქმედებს დადებითად არამხოლოდ პარტნიორი ადგილობრივი ფირმებისთვის არამედ კონკურენტი ადგილობრივი ფირმებისთვისაც ვინაიდან ისინი შეეცდებიან კონკურენცია გაუწიონ მულტინაციონალურ კომპანიებს და მეტი ინვესტიცია ჩადონ ხარისხიანი პროდუქციისა თუ სერვისის წარმოებაში.

მეორე შემთხვევაში საერთო ეფექტი მაინც დადებითია მიუხედავად იმისა, რომ ჰორიზონტალური ეფექტი ფაქტობრივად ნულს უდრის. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით მაგალითად, იმ შევთხვევაში თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოედინება ქვეყანაში, მაგრამ იმ ინდუსტრიაში სადაც ადგილობრივი კომპანიები ჯერ არ არიან წარმოდგენილნი.

მესამე შევთხვევაში საქმე გვაქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო უარყოფით ეფექტთან. მოცემულ შევთხვევაში მულტინაციონალური კომპანიების სტრატეგია მიმართულია ადგილობრივი კონკურენტების გაძევებისკენ ბაზრიდან რაც გამოხატულია მათ აგრესიულ კონკურენტულ პოლიტიკაში. ეს არის შევთხვევა როცა მულტინაციონალური კომპანია ცდილობს მოიპოვოს ბაზრის დიდი ნაწილი, გააძევოს და ჩამოიცილოს ადგილობრივი კომპანიები.

მეოთხე შევთხვევაში როგორც ჰორიზონტალური ასევე ვერტიკალური ეფექტი ფაქტობრივად უდრის ნულს. მოცემული შევთხვევა შეიძლება ავხსნათ მიმღები ქვეყნის არასათანადო განვითარების დონით რაც თავის მხრივ გამოიხატება როგორც ადამიანური რესურსების ასევე ტექნოლოგიური განვითარების სიმწირით. რაც გულისხმობს იმას რომ, ქვეყანა არ არის მზად აითვისოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან შემომავალი ყველა ის შესაძლო დადებითი ეფექტები რაც მას მოყვება.

მეხუთე შევთხვევა არის ის შევთხვევა რასაც ძალიან ხშირად ვხვდებით განვითარებად ქვეყნებში, ჰორიზონტალური ეფექტი არის უარყოფითი რაც გულისხმობს იმას, რომ მულტინაციონალური კომპანიები ცდილობენ გააძევონ ადგილობრივი კონკურენტები ბაზრიდან, ხოლო ვერტიკალური ეფექტი არის დადებითი. ამ შევთხვევაში რთულია შეფასდეს საბოლოო ეფექტი მიმღებ ქვეყანაზე რადგან შესაძლოა მოცემულმა კომბინაციამ მოახდინოს საბოლოო ჯამში როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეფექტი.

მიუხედავად მცირე პირდაპირი უერთიერთობისა მულტინაციონალურ კომპანიებთან ადგილობრივ კომპანიებს მაინც აქვთ შესაძლებლობა განვითარდნენ მულტინაციონალური კომპანიების შემოსვლით ქვეყანაში.

Hirschman კვლების თანახმად (1958) მულტინაციონაალური და ადგილობრივი კომპანიების ურთიერთანამშრომლობა განაპირობებს ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას და ჯობს მულტინაციონალურ კომპანიებთან მცირე კავშირის ქონა ვიდრე მისი საერთოდ არ ქონა, და რაღა თქმა უნდა რაც უფრო მჭიდროა ეს კავშირები მით უფრო უკეთესია მიმღები ქვეყნისათვის (Altenburg, 2000; Scott-Kennel and Enderwick, 2005; Hansen et al., 2006).

ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ მულტინაციონალური და ადგილობრივი კომპანიების კავშირების სპეციფიკაციებზე.

მოცემული კავშრები შეიძლება იყოს როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი.

1980-1990 იანი წლებში ბევრმა გავნითარებადმა ქვეყანამ მოახდინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის ლიბერალიზირება (Grieco & Ikenberry, 2003). გრძელვადიანი ურთიერთობები როგორიცაა ერთობლივი საწარმოს დაფუძნება, ფრენჩაიზინგის მიღება და სხვა, რაც რა თქმა უნდა უფრო მაღალი ურთიერთქმედების მაჩვენებელია და ცალსახად დადებითი გავლენის მომტანი იქნება ადგილობრივი კომპანიის განვითარებისათვის რასაც ვერ ვიტყვით მოკლევადიანი საქმიანი ურთიერთობების შევთხვევაში, რომელიც უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს ქმნის ადგილობრივი ფირმების განვითარებისათვის.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მით უფრო მაღალია გრძელვადიანი კავშირების დამყარების ალბათობა ვინაიდან ამ შევთხვევაში მულტინაციონალური კომპანიები აქტიურად იწყებენ ადგილობრივი კომპანიების რესურსების გამოყენებას რაც განაპირობებს გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო დადებითი ეფექტების მოტანას ქვეყნისთვის.

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსხვავდებიან მათი მოტივაციების მიხედვითაც და შეგვიძლია დავყოთ ოთხ ნაწილად: ბაზრის მაძიებელი, რესურსების მაძიებელი, სტრატეგიული აქტივების მაძიებელი და ეფექტიანობის მაძიებელი.

ბაზრის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი მიზანია აითვისოს და ექსპლუატაცია მოახდინოს ბაზრის რომელიც მიმზიდველია მულტინაციონალური კომპანიისათვის სერვისისა თუ პროდუქციის მიწოდებისათვის.

რესურსების მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორიენტირებულნი არიან ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ათვისებაზე იმაზე დაბალ ფასად ვიდრე მათ ქვეყანაშია შესაძლებელი.

სტრატეგიული აქტივების მაძიებელი ინვესტიციები როგორც წესი ცდლიობენ უკვე არსებული საკუთრების უპირატესობები გაზარდონ ან შეუმცირონ კონკურენტებს არსებული სტრატეგიული აქტივები.

ეფექტიანობის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი ორიენტირებულნი არიან უკვე ხელთ არსებული რესურსებით უფრო მეტის მიღწევას.

მოცემული ინვესტიციები განსხვავდებიან მოტივებით და აუცილებელია განისაზღვროს მათი დადებითი თუ უარყოფითი გავლენები მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე და გამოვკვეთოთ მულტინაციონალური კომპანიების ურთიერთქმედების ხარისხი ადგილობრივ კომპანიებთან. ამისთვის კი აუცილებელია გამოვიყენოთ დანინგის ეკლექტიკური იგივე OLI პარადიგმას.

მოცემულ პარადიგმას თუ დავეყრდნობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდებიან საკუთრების, ადგილმდებარეობის, ინეტერნაციონალიზაციის უპირატესობებისა და საქმიანობების ერთობლიობასთან.

სკოტ-კენელის მიხედვით საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები უცხო ქვეყანაში განხორციელებული ინვესტირების დროს, ძირითადად მომსახურების სექტორში გვხვდება. ფირმის საკუთრებასთან დაკავშირებულ აქტივებში მოიაზრება ადამიანური რესურსები, პატენტები და ექსკლუზიური ტექნიკური ცოდნა, საავტორო უფლებები თუ სავაჭრო მარკები ან სხვა არამატერიალური აქტივები, როგორიცაა მმართველობის/მენეჯმენტის „ნოუ-ჰაუ“ ან ფირმის რეპუტაცია. (Markusen 1989; Fernandes, 2001; Rugman and Werbeck, 2008)

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებულ უპირატესობებს რაც შეეხება მოცემული განისაზღვრება ქვეყნის სტრატეგიული ადგილმდებარეობით რომელიც მულტინაციონალურ კომპანიებს აძლევს საშუალებას სტრატეგიულად გამოიყენოს მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობა ეს ყოველივე კი ხელს უწყობს საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობების განვითარებასაც.

ადგილმდებარეობის უპირატესობები სხვადასხვა ფორმით შეიძლება იქნან წარმოდგენილნი მაგალითად: ბუნებრივი რესურსების სიჭარბით, დაბალი

შრომითი ხარჯებით, არსებული სტრატეგიული აქტივებით და სხვა. რა თქმა უნდა მოცემულ უპირატესობებს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემოც აყალიბებს.

ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშრებული უპირატესობებს რაც შეეხება იგი გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივებს და გვანახებს სხვაობებს ბაზარზე შესვლის ფორმებსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შორის.

სკოტ კენელი მოცემულ პარადიგმაზე დაყრდნობით გვთავაზობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მიმღები ქვეყნის ეკონიკის ურთიერთქმედების ხარისხის უკეთ დანახვის და მოცემული ურთიერთქმედების ხარისხის დონის შეფასების შესაძლებლობას.(იხ. ცხრილი 5)

ცხრილი 5

მოტივაციების ტიპები	O	L	I	მიმღებ ქვეყანასთან ინტეგრაციის ხარისხი და შედეგები
ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტიციები	კაპიტალი, ტექნოლოგიები, ინფორმაცია, მენეჯმენტი და ორგანიზაციული უნარჩვევები, კვლევები და განვითარება;	მატერიალური და საკადრო ხარჯები, ბაზრის მოცულობა ან მახასიათებლები, მთავრობის პოლიტიკა (რეგულაციები, იმპორტი,	საოპერაციო ან ინფორმაციბთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება, მყიდველის იგნორირება ან	დადებითი: O-უპირატესობების გავრცელების შესაძლებლობა ადგილობრივ ბაზარზე, კვლავები და განვითარება(პროდუქციის მოდიფიცირება),

	ბრენდის ერთგულება	წახალისება).	გაურკვევლობა, საკუთრების უფლების დაცვა	იმპორტის შემცირება, დასაქმება, ფასების გაუმჯობესება ბაზარზე. უარყოფითი: ბაზრის კონცენტრირება და კონკურენცია ადგილობრივ ბაზართან ინტეგრაციის დონე: საშუალო
რესურსების მაძიებელი ინვესტიციები	კაპიტალი, ტექნოლოგია, ბაზრის ხელმისაწვდომობა; დამატებითი აქტივები, მოლაპარაკებები	ბუნებრივი რესურსების, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, წახალისება	მიწოდების სტაბილურობა ბაზარზე, ფასების და ბაზრის კონტროლი	**დადებითი**: O-უპირატესობების დანერგვა, დასაქმების, ექსპორტის ზრდა, სარგებელი ბუნებრივი რესურსებიდან, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, ექსპორტი **უარყოფითი**: კონტროლის

				ზრდა რესურსებზე, ბაზრის კონცენტრაცია ინტეგრაციის დონე: დაბალი-საშუალო
აქტივების მაძიებელი ინვესტიციები	ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი სამი კომპონენტიდან, რომელიც სთავაზობს არსებულ აქტივებთან სინერგიას	ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი, რომელიც სთავაზობს ტექნოლოგიებს, ბაზრებს ან აქტივებს, სფეროში, რომელშიც ნაკლებადაა განვითარებული	მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურების წყალობით მიღებული შემოსავლები; კონკურენტული ან სტრატეგიული უოურატესობა; რისკების შემცირება	დადებითი: ზემოხსენებულს პლუს O-უპირატესობების გადაცემის შესაძლებლობები თანამშრომლობის გზით უარყოფითი: ადგილობრივი შესაძლებლობების გადაფარვა ინტეგრაციის დონე: ზომიერი - მაღალი

ეფექტიანობის მაძოებელი ინვესტიციები	ზემოთჩამოთვლილს პლუს ბაზრის ხელმისაწვდომობა, მოქმედების არეალი, გეოგრაფიული დივერსიფიცირება, დაქირავების საშუალებები	ა) პროდუქტის ვიწრო სპეციალიზაცია ბ) დაბალი საკადრო ხარჯები, წახალისება	ა) მეორე კატეგორიის თვის დამახასიათებელი, მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურების წყალობით მიღებული შემოსავლები ბ) ვერტიკალური ინტეგრაციის და ჰორიზონტალური დივერსიფიკაციის ეკ	დადებითი: ზემოხსენებულს პლუს ექსპორტის ზრდა, გაზრდილი სარგებელი, უკეთესი ეკონომიკა უარყოფითი: შვილობილ კომპანიაზე ორიენტაციამ შეიძლება შეამციროს O-უპირატესობის გადაცემის / გავრცელების შესაძლებლობები ინტეგრაციის დონე: დაბალი - ზომიერი

წყარო: (Claramunt, 2010), Scott-Kennel (2001, p. 25) (დანინგის ნაშრომის საფუძველზე)

მოცემული პარადიგმიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზრის და რესურსების მაძიებელი ინვესტიციების ინტეგრაციის ხარისხი მერყეობს

დაბალიდან საშუალო დონემდე რაც არ განაპირობებს მაღალი ხარისხის ურთიერთქმედებას ადგილობრივ კომპანიებთან, რადგან მათი მოტივები განსხვავდება და ისინი ორიენტირებულნი არიან მიმღები ქვეყნის დაბალი ღირებულებისა აქტივებზე და რესურსების გამოყენებაზე. თუმცაღა ადგილობრივ კომპანიებს მაინც შეუძლიათ მიიღონ სარგებელი თუ ისინი იპოვიან გზებს მულტინაციონალურ კომპანიებთან უკეთესად ინტეგრაციის ხარიხსის მიმართულებით რაც შეიძლება გამოხატული იყოს ადგილობრივ დისტრიბუციაზე პასუხისმგებლობით და სხვა.(უილიამსი)

ბაზრის რესურსებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

როგორც წესი ცდილობენ ახალი ბაზრები აითვისონ და გააფართოვონ არსებული კლიენტების ბაზა. (Grosse, 2000, Fernandes, 2001; Kundu, Kumar & Peters, 2008; Kundu & Merchant 2008; (UNCTAD, 2004)

შესაბამისად რადგან რესურსების მაძიებელი ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებულნი არიან მიმღები ქვეყნის ბაზრის უკეთესად ათვისებაზე და მომსახურეობაზე მათ აქვთ შესაძლებლობა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში წინასწარ დაამყარონ კავშირები.

ეფექტიანობის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მულტინაციონალური კომპანიების სახით როგორც წესი ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე გასვლას, რაც მათ საშუალებას მისცემს მოახდინონ საკუთარი დანახარჯების ოპტიმიზირება რასაც გარკვეული გარემო ფაქტორების გამო ისინი ვერ ახერხებენ მშობლიურ ქვეყანაში, ამ დროს მათი ინტეგრაციის ხარისხი დაბალიდან საშუალო დონემდე მერყეობს.

სტრატეგიული აქტივების მაძიებელი ინვესტიციების შევთხვევაში კი ადგილობრივ კომპანიებთან ურთიერთქმედები დონე როგორც წესი მაღალია, ეს გამოწვეულია იმით, რომ მულტინაციონალური კომპანიები ამ შევთხვევაში ცდილობენ ადგილობრივი კომპანიების ხელთ არსებული სტრატეგიული აქტივების უკეთესად გამოყენებას და ყოველივე ეს განაპირობებს კავშირების და თანამშრომლობის ხარისხის დონის ამაღლებას, მაგრამ ეს ყოველივე შეიძლება დასრულდეს

უცხოური კომპანიების მხრიდან მოცემული აქტივების შეძენის და მართვის ავტონომიურობის სურვილით რაც საბოლოო ჯამში სტრატეგიული აქტივების გასხვისებით დასრულდება.

1.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი გავლენები მიმღებ ქვეყანაზე

როგორც ავღნიშნეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებიდან გამომდინარე. ზოგიერთი ქვეყნისთვის პუი-მ შეიძლება უმნიშვნელო როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ხოლო ზოგიერთი ქვეყნისთვის მოცემული ინვესტიციები გახდეს ეკონომიკური განვითარების წინაპირობა. ქვემოთ განხილულია პუი-ს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გავლენები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი გავლენები.

ეკონომიკური ზრდა-მულტინაციონალური კომპანიები შეიძლება განხილულ იქნან როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად წყაროებად. 90-იან წლებში პუი-ის მოცულობამ განვითარებად ქვეყნებში საშუალოდ 150 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო 2005 წელს მათი მოცულობა განვითარებადი ქვეყნების მიმართულებით გაიზარდა და საშუალოდ 334 მილიარდ დოლარს გაუტოლდა რაც ადასტურებს ცალსახა პუი-ს ზრდას და მულტინაციონალური კომპანიების ინტერეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისკენ.

UNCTAD-ის მსოფლიო ინვესტიციების ანგარიშის თანახმად (2010) აღნიშნული ინვესტიიების მოცულობები კი 2010 წელს 574 მილიარდ დოლარს გაუტოლდა.

პუი-ს შეუძლიათ მოახდინონ გავლენა მშპ-ს ზრდაზე, ქვეყნის ეკონომიკური კაპიტალის ფორმირებაზე და სხვა.

ექსპორტზე დაფუძნებული ინდუსტრიალიზაცია-საექსპორტო პოტენციალის განვითარება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებით მაშინ როცა საუბარია საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობების გაძიერებაზე. ამასთან სახელმწიფომ უნდა შექმნას მარეგულირებელი ჩარჩოები რომელიც დაეხმარება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას როგორც რეგიონალურ ასევე საერთაშრისო დონეზე.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა რომლებმაც უკვე შეძლეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლება ნათლად ქონდათ გაწერილი საექსპორტო სტრატეგია რომელიც დაეხმარა მათ მულტინაციონალური კომპანიების ინვესტიციების მოზიდვაში.

1980-1990 იანი წლებში ბევრმა გავნითარებადმა ქვეყანამ მოახდინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის ლიბერალიზირება. მაგალითად, სინგაპურმა წარმატებით შეძლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არ გააჩნია მდიდარი ბუნებრივი რესურსები და არც განვითარებულ ბაზრებთან სიახლოვით არ გამოირჩევა. სწორმა მენეჯმენტმა, პროაქტიულმა ინდუსტრიულმა სტრატეგიამ და მულტინაციონალური კომპანიების მიმართ ლიბერალურმა დამოკიდებულებამ საშუალება მისცა მათ მოეხდინათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მობილიზება (Velde, 2001).

კაპიტალის ფორმირება-კაპიტალი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ აქტივს განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი მოცემული ეკონომიკური აქტივების გაზრდის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის მთლიანი ნაკადის მნიშვნელოვანი წილის მოდის მულტინაციონალური კომპანიების ინვესტიციებიდან.

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ მულტინაციონალური კომპანიები უფრო პროდუქტიულები, ექსპორტზე ორიენტირებულნი არიან და იხდიან უფრო მაღალ ხელფასებს ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით (Markusen, 1995). ამასთან აღსაღნიშნავია, რომ მულტინაციონალურ კომპანიების სპეციფიკიდან

გამომდინარე ისინი იძლევიან სხვადასხვა ბაზრებზე პირდაპირი წვდომის საშალებას და უკვე არსებულ კლიენტებთან თუ მომხმარებლაბთან აღრმავებენ საკუთარ ურთიერთობას რაც პუი-ს მიმღები ქვეყნისთვის საკმაოდ საინტერესო და დადებითი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს.

ტექნოლოგია-ტექნოლოგიური განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ბანგკოკი ან თუნდაც ტაილანდის სამხრეთ ნაწილი უფრო განვითარებულია ვიდრე ქვეყნების ჩრდილოეთ ნაწილები. მულტინაციონალური კომპანიები დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაში შესაბამისად განვითარებადი ქვეყნებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების მოპოვების სურვილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოტივაციაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას.

მულტინაციონალური კომპანიები გადასცემენ ტექნოლოგიურ ცოდნას ადგილობრივ პერსონალს და ავითარებენ ინდუსტრიულ საქმიანობას შესაბამისად ტექნოლოგია აუმჯობესებს წარმოების ხარისხს და ხელს უწყობს მის განვითარებას.

უკეთესი გარემო-მულტინაციონალურმა კომპანიებმა საკუთარი ინვესტიციებით შესაძლოა ხელი შეუწყონ უკეთესი ინდუსტრიული წარმოების განვითარებას რომელიც მიზანმიმართული იქნება გარემოს ნაკლებ დაბინძურებაზე. როგორც წესი მულტინაციონალურ კომპანიებს აქვთ უკვე ჩამოყალიბებული სტანდარტები გარემოს დაბინძურების შესამცირებლად რომელსაც ნერგავენ ავტომატურად ყველა ქვეყანაში ეს კი ერთპიროვნულად მოქმედებს და დადებით ტენდენციას ნერგავს განვითარებად ქვეყნებში უკეთესი გარემოს დაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

სამუშაო ადგილების შექმნა-მულტინაციონალური კომპანიები დიდ როლს თამაშობენ სამუშაო ადგილების შექმნაში და ხელს უწყობენ ცხოვრების დონის ამაღლებას განვითარებად ქვეყნებში.

ამასთან, რომ მულტინაციონალური კომპანიები ქმნიან სამუშაო ადგილების 1/5 განსაკუთრებით კი ტექნოლოგიურ ინდუსტრიებში (UNRISD, 2010).აღსანიშნავია ისიც, რომ მულტინაციონალური კომპანიები დადებითად მოქმედებენ

ადგილობრივი პერსონალის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზეც რაც გამოიხატება უკეთეს სერვისებზე თუ პროდუქციაზე წვდომაში, შესაბამის პროგრამებში რომლებიც ადგილობრივი პერსონალის ჯამრთელობის უზრუნველყოფაზეა მიმართული და მაღალი ცხოვრების სტანდარტების დანერგვაში. ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ უცხოური კომპანიების საკუთრებაში არსებული თუ ქვეკონტრაქტორი მწარმოებელი კომპანიები უფრო მაღალ ხელფასებს უხდიან საკუთარ პერსონალს ვიდრე ადგილობრივი კომპანიები. მოცემული სხვაობა იკვეთება ასევე ექსპორტზე ორიენტირებული და არაექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებშიც. მაგალითად, მექსიკაში ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები იხდიდნენ 58% მეტს საკუთარ დასაქმებულებს ვიდრე არაექსპორტზე ორიენტირებული მექსიკური კომპანიები (Lozaday, 2001).

კომპეტენციისა ამაღლება-ადგილობრივი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება წარმოადგენს მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ტექნოლიგიისა თუ ცოდნის შემოდინების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ ფაქტორს. რაც ხელს უწყობს მენეჯერული ცოდნის და უნარების გაღრმავებას ადგილობრივ პერსონალში. მულტინაციონალურ კომპანიებს ურჩევნიათ დაიქირაონ ადგილობრივი თანამშრომელი ვიდრე მოახდინონ მათი არსებული თანამშრომლების ექსპატრირება რადგან ეს უფრო დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული მაგრამ ამ შემთხვევაში მაღალკვალიფიციური კადრის პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ამ ყოველივეს თან ერთვის ადგილობრივი პოტენციური დასაქმებულების ცოდნის დაბალი დონეც,

შესაბამისად მულტინაციონალური კომპანიები ცდილობენ ადგილობრივი თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებას, ტრენინგების თუ მოკლე კურსების მეშვეობით რაც აამაღლებს დასაქმებულების პრუდუქტიულობის ზრდას (Worasinchai & Bechina, 2010).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი გავლენები-პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი გავლენებისა უნდა აღინიშნოს ასევე პუი-ს უარყოფითი გავლენებიც მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.

დასაქმებულების ექსპლუატაცია მულტინაციონალური კომპანიები ხშირად ინვესტიციებს აბანდებენ ისეთ ქვეყნებში სადაც იაფი მუშახელია ან/და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით გამოირჩევა. ისეთი საერთაშორისო კომპანიებიც კი როგორებიცაა Reebok, NIKE, LEVI STRAUSS ბოროტად იყენებდნენ იაფი მუშახელის პრინციპს ინდონეზიაში. მათი თვიური ანაზღაურება 39$ შეადგენდა მაშინ როცა თვეში დიდი მოცულობის პროდუქციის წარმოება უწევდათ, რომლის თითოეულის ღირებულება აღემატებოდა 100$-ს. ინდონეზიის ეკონომიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობების შედინების ფონზე ვითარდება მაშინ როცა უბრალო მუშახელს საშინელ საცხოვრებელ პირობებში და მიზერული ანაზღაურების ფონზე უწევთ ცხოვრება (UNCTAD, 2006).

გარემოს დაბინძურება-მულტინაციონალური კომპანიები როგორც გარემოზე ზრუნვით ასევე მისი დაბინძურებითაც გამოირჩევიან. მიუხედავად იმისა, რომ მულტინაციონალურ კომპანიებს ბევრი დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მიმღებ ქვეყანაზე მათი ზომებიდან გამომდინარე მათ ასევე დიდი ზიანი აქვთ მიყენებული განვითარებადი ქვეყნების გარემოზე. იქიდან გამომდინარე, რომ მათი წარმოების არეალი არ შემოიფარგლება ერთი ან ორი ქვეყნით ხშირად ყოფილა შევთხვები როცა მათი გავლენა გარემოს დაბინძურებაზე ნათელი იყო (Stopford, 1998)

მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში სამთო-სამრეწველო ინდუსტრიები გამოირჩევიან გარემოს დაბინძურების მაღალი დონით, ტოქსიკური ნარჩენების მდინარეში ჩაღვრით, სახიფათო ნარჩენების არასწორი უტულიზაცია და სხვა.

ასევე აღსაღნიშნავია მულტინაციონალური ნავთობ კომპანიები რომლებიც არაერთხელ გამხდარან მწვავე კრიტიკის საგნები.

გადასახადებისგან თავის არიდება-ხშირად განვითარებადი ქვეყნები ლიბერალური საგადასახადო სისტემით ცდილობენ მოიზიდონ პირდაპირი

უცხოური ინვესტიციები რაც ხშირად დავის საგანიც კი გამხდარა. თავის მხრიმ მულტინაციონალური კომპანიები ცდილობენ მოცემული გარემოებებით ისარგებლონ და იპოვონ შესაბამისი ხვრელები რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას კანონიერად გადაიხადონ უფრო ნაკლები ვიდრე მოუწევდათ გადაეხადათ თუ დარჩებოდნენ შედარებით განვითარებულ ქვეყანაში.

თავი 2. მულტინაციონალური კომპანიების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე შესვლის სტრატეგიები

2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების და ინდუსტრიების მიხედვით

გლობალურ დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2/3-ზე მეტი მომსახურების სფეროზე ხოლო დანარჩენი, წარმოების ინდუსტრიასა და პირველად სექტორზე ნაწილდება. UNCTAD (2016)-ის მონაცემებზე დაყრდნობით პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება.(იხ. ცხრილი 6)

ცხრილი 6



წყარო: UNCTAD, World Investment Raport, Investor Nationality: Policy Challenges 2016

*ტრილიონი დოლარ

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ინდუსტრიების მიხედვით როგორც განვითარებად ასევე განვითარებულ ქვეყნებში თითქვის მსგავსია, მაგრამ აღსაღნიშნავია მსგავსებები ისევ განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიებს შორის. მაგალითად, შეიძლება ავიღოთ ლათინური ამერიკის და აფრიკის პირველადი წარმოების ინდუსტრიები სადაც პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 22% და 28% შეადგინა.

აზიის მიმართულებით კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი მომსახურების სფეროზე ნაწილდება, რაც მეტწილად ჩინეთის დომინირებით არის განპირობებული.

რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნებისკენ მიმავალ პირდაპირ უცხურ ინვესტიციებს, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიც მოიაზრება, მომსახურების სფერო ისევ დომინირებს და შესაბამისად თანაბარი მაჩვენებლებით მიყვებიან პირველადი და წარმოების სექტორებისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

.

UNCTAD-ის 2019 წლის ანგარიშზე ტოპ 20 განვითარებად ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენცია შეინიშნება და 2004 წლიდან მოყოლებული უკიდურეს მინიმუმს მიაღწია. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 200 მილიარდ დოლარზე ნაკლები პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, ასევე კლების ტენდენციები შეინიშნება ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ირლანდია და სხვა.

იგივეს ვერ ვიტყვით ავსტრალიაზე სადაც რეკორდული 60 მილიარდი დოლარის ინვესტიციების შედინება მოხდა ქვეყანაში (აქედან 25 მილიარდის სუფთა მოგების რეინვესტირება მოახდინეს მულტინაციონალურმა კომპანიებმა).

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 2%-ით და გაუტოლდა 706 მილიარდ დოლარს, ტოპ მიმღები ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების ფონზე მთლიანი წილი განვითარებადი ქვეყნების პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა გლობალურ პუი-ში 54%-ით გაიზარდა, რაც ასევე რეკორდულად მაღალი მაჩენებელია. (იხ.ცხრილი 7)

ცხრილი 7



წყარო:UNCTAD 2019

*მილიარდი დოლარი

2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე შესვლის სტრატეგიები

გლობალიზაციის და თავისუფალი ეკონომიკის პირობებში მულტინაციონალურ კომპანიებს მრავალი გზა აქვთ მიმღები ქვეყნის ბაზარზე შესვლის სტრატეგიების განსაზღვრისათვის, რა თქმა უნდა ეს ყოველივე დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე. ქვემოთ განვიხილავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზარზე შესვლის ძირითად გზებს.

ექსპორტი-ბაზარზე შესვლის მოცემული ფორმა საკმაოდ გავრცელებულია მთელს მსოფლიოში და ის შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა თუ სერვისის მარკეტინგი მეორე ქვეყანაში.

მოცემული სტრატეგიის უპირატესობებია:

- პროდუქცია წარმოებს მშობლიურ ქვეყანაში და ნაკლები ფინანსური რისკის შემცველია
- იძლევა ბაზრის შესწავლის საშუალებას სანამ მოხდება დიდი ინვესტიციების დაბანდება
- ბაზარზე დაუყოვნებლივი წვდომის შესაძლებლობა
- და სხვა

რა თქმა უნდა მოცემულ სტრატეგიასაც გააჩნია ნაკლოვანებები:

- მცირე ან შეზღუდული კონტოლი პროდუქციის დისტრიბუციაზე, გაყიდვებზე და მარკეტინგზე
- სუსტი პარტნიორების ყოლა
- და სხვა

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ექსპორტის სტრატეგიების ნაირსახეობებიც როგორებიცაა პასიური და აქტიური საექსპორტო სტრატეგიები. პასიური სტრატეგიების დროს არ ხდება დიდი ინვესტიციების ჩადება ექსპორტის

მიმართულებით ხოლო აქტიური საექსპორტო პოლიტიკის დროს კომპანიები ცდილობენ მაღალი ინტესიურობით მოახდინონ ბაზრის ათვისება, გამოყონ მარკეტინგული ბიუჯეტები ადგილობრივი პარტნიორებისათვის, გააღრმავონ ურთიერთობები და დაამყარონ გრძელვადიანი საქმიანი კავშირები.

ლიცენზირება-ლიცენზია ეს არის ბაზარზე შესვლის ერთ-ერთი ფორმა რომლის დროსაც უცხოური კომპანია აძლევს უფლებას ადგილობრივ კომპანიას გამოიყენოს მულტინაციონალური კომპანიების ტექნოლოგიები, მენეჯმენტის სისტემები, სავაჭრო ნიშნები, ნოუ-ჰაუ ან რაიმე სხვა აქტივები რომელიც გააჩნია მულტინახიონალურ კომპანიას.

მოცემული სტრატეგია საკმაოდ გავს ფრენჩაიზინგს.ლიცენზირების ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია ისეთი გიგანტი როგორიც არის „კოკა-კოლა“ მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაცემული აქვს მისი პროდუქციის წარმოების ლიცენზიები რითიც ის წარმოდგენილია თითქმის ყველა ქვეყანაში.

უპირატესობები :

- კარგი გზაა დაბალი რისკის მქონე საწარმოო ურთიერთობების დასაწყებად.
- ლიცენზირების დროს ხდება გამცემი და მიმღები კომპანიის ინტერესების მაქსიმალური კვეთა რაც ხელს უწყობს მაღალ ეფექტური მარკეტინგული აქტივობების განხორციელებას
- არსებობს პარტნიორთან ურთიერთობების მრავალფეროვანი გზები
- და სხვა

ნაკლოვანებები:

- ადგილობრივი პარტნიორი ვითარდება და ითვისებს ტექნოლოგიურ სიაახლეებს შესაბამისად გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება დაიკარგოს სურვილი მულტინაციონალურ კომპანიასთან თანამშრომლობის.

- ლიცენზიის მიმღებები შეიძლება გახდნენ კონკურენტებიც
- შესაძლო ნავარაუდები მოგება შეიძლება უფრო ნაკლები იყოს.
- და სხვა

ერთობლივი საწარმოს დაფუძნება-მოცემული სტრატეგია იძლევა შესაძლებლობას რამოდენიმე კომპანიამ ერთად მოახდინოს ერთიანი საწარმოს ან/და კომპანიის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი ერთობლივი მართვა.

უპირატესობები:

- როგორც ცოდნის ასევე რისკებზე პასუხისმგებლობის თანაბარი გადანაწილება
- ფინანსური შესაძლებლობების უკეთ გამოყენება
- ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინა განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მოცემული სტრატეგია შეიძლება იყოს ბაზარზე შესვლის ერთ-ერთი საუკეთესო გზა მულტინაციონალური კომპანიებისთვის.
- და სხვა

ნაკლოვანებები:

- პარტნიორებს არ აქვთ მართვაზე სრული კონტოლი
- საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაბანდენული ინვესტიციების ამოღების საშიშროება შეიქმნას.
- პარტნიორებს შესაძლოა ქონდეთ განსხვავებული შეხედულებები მოსალოდნელი შემოსავლების გადანაწილებაზე რაც უთანხმოების ერთ-ერთი საბაბი შეიძლება გახდეს
- და სხვა

ბაზარზე შესვლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა საკუთრების 100%-იანი წლისი ფლობა მიმღები ქვეყნის ბაზარზე რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ მულტინაციონალური კომპანია თავიდან ბოლომდე იქნება პასუხისმგებელი

კომპანიის განვითარებაზე. მოცემულმა სტრატეგიამ შეიძლება რამოდენიმე ფორმა მიიღოს როგორიცაა უკვე არსებული საწარმოს შერწყმა ან თავიდან ბოლომდე ახალი საწარმოს ჩამოყალიბება.

უპირატესობები:

- 100%-იანი წილის ფლობა და დამოუკიდებელი მენეჯმენტი
- შემოსავლების განკარგვის თავისუფლება
- ბაზრის ათვისების შესაძლებლობა უკვე არსებული კომპანიის გამოცდილებაზე დაფუძნებით და ახალი ფინანსური რესურსებით
- და სხვა

ნაკლოვანებები:

- შერწყმის პროცესი ან ახალი საწარმოს/კომპანიის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს
- ბაზრის კონიუნქტურების არასათანადო ცოდნა
- დაბალი კომპეტენციის მქონე კადრების ყოლა
- და სხვა

სტრატეგიული ალიანსები-სტრატეგიული ალიანსი წარმოადგენს სხვადასხვა ფირმებს შორის თანამშრომლობით შეთანხმების საგანს, მოცემული ფორმა 21-ე საუკუნეში პოპულარული ხდება და აქვს სამი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი:

1. ესეთი ფორმები ძირითადად გვხვდება მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში
2. ორიენტირებულნი არიან ახალი პროდუქციისა თუ ტექნოლოგიის შექმნაზე
3. როგორც წესი მსგავსი ალიანსები იქმნება მოკლევადიანი პერიოდით და არ არიან მიმართულნი გრძელვვადიან თანამშრომლობაზე
4.

უპირატესობები:

- ალიანსების ტექნოლოგიების გამოყენება
- კონკურენტურიანობის ზრდა
- კომპეტენციის ამაღლება და ცოდნის გაზიარება
- და სხვა

ნაკლოვანებები:

- არაკეთილსინდისიერი პარტნიორი
- ტექნოლოგიების მოპარვის საშიშროება
- კომუნიკაციის პრობლემა
- ფინანსური არამდგრადობა
- და სხვა

ეს არის ძირითადი ჩამონათვალი იმ სტრატეგიებისა რასაც მულტინაციონალური კომპანიები იყენებენ სხვადასხვა ბაზრებზე შესვლისას, რა თქმა უნდა მოცემული სტრატეგიების არჩევის სპეციფიკაც დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზეც და ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული სტრატეგიების არჩევის შესაბამისად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მულტინაციონალური კომპანიების მოტივიაციებზე და მათ ადგილობრივ კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობის სურვილზეც. რითის (1994) ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია მოცემული სტრატეგიები გამოვსახოთ გრაფიკულად რაც დაგვეხმარება მოცემული სტრატეგიების მართვისა და კონტოლის დონის განსაზღვრაში რისკებთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8



Source: Root (1994) Entry strategies for international markets

მოცემული სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ექსპორტის, ლიცენზიის და ფრენჩაიზინგის სტრატეგიების არჩევისას მულტინაციონალური კომპანიების ჩართულობა მენეჯმენტის მართვის დონეში საკმაოდ დაბალია, მაგრამ რისკების დონეც უმნიშვნელოა.

რაც შეეხება ალიანსების ჩამოყალიბებას ამ შემთხვევაში მართვის დონე შედარებით მაღალია და მის პარალელურად იწევს ინვესტიციების რისკის დონეც.

ხოლო საკუთრების 100% წილის ფლობის და ერთობლივი საწარმოების დაფუძნების შემთხვევაში კომპანიების მენეჯმენტის მართვასთან ერთად იწევს ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული რისკებიც.

2.3 შერწყმა და შესყიდვა (Merge and Acquisition) - ბაზარზე შესვლის თანამედროვე სტრატეგია

მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან შერწყმისა და შესყიდვის სტრატეგიის გამოყენება ერთ-ერთი ფართოდ აპრობირებული მეთოდია რომელიც იძლევა ბაზარზე წვდომის პირდაპირ საშუალებას. ხშირდა კი ეს მცირე ადგილობრივი კომპანიებისთვის ერთადერთი გზაა გადასარჩენად. 20-ე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე შერწყმა-შესყიდვის სტრატეგიამ 7 ეტაპი გამოიარა. გლობალიზაციის მაღალმა ტემპებმა, მსოფლიო ეკონომიკის არამდგრადობამ და ბევრმა სხვა ფაქტორმა ხელი შეუწყო შესწყმა-შესყიდვის სტრატეგიის განვითარებას.

საქრთველოშიც ეს სტრატეგია უფრო აქტუალური გახდა ბოლო წლებში და ამ მიმართულებით არაერთი შერწყმისა თუ შესყიდვის გარიგებები განხორციელდა თუმცაღა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში რთულია მოცემული გარიგებების მოტივების გამოაშკარავება და ჩნდება არაერთი ეჭვი თუ რამდენად კანონის დაცვით ხორციელდება ისინი, რამდენად იყო ჩართული ანტიმონოპოლიური სამსახურები მოცემული გარიგებების გამოკვლევაში? შეუწყობს თუ არა მოცემული გარიგებები კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ხელს? რამდენად იმოქმედებს მოცემული გარიგებები ფასების ზრდაზე და სხვა.

მოცემული კითხვებზე ზუსტი პასუხების გაცემა სამწუხაროდ შეუძლებელია და მსგავსი გარიგებების მოტივებს გრძელვადიანი პერსპექტივაში დავინახავთ.

თუმცაღა აღსაღნიშნავია ისიც რომ შერწყმა და შესყიდვის სტრატეგია მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით უმეტესწილად უარყოფითი შედეგებით მთავრდება, სანამ მოცემულ სტატისტიკას განვიხილავთ უმჯობესია იქნება გავერკვეთ მოცემული სტრატეგიის ბუნებაში რადგან მიუხედავად იმისა რომ 21-ე საკუნეში ახალი განვითარება ჰპოვა მოცემული მიდგომა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

20-ე საკუნის დასაწყისში ამერიკული კომპანიები შეეცადნენ მონოპოლიების ჩამოყალიბებას ჰიროზონტალური ინტეგრაციის მეშვეობით მოცემულ ქვედებებს ამერიკის მთავრობა გამოეხმაურა ანტიმონოპოლიური კანონის მიღებით რომლის ძირითადი მიზანი იყო მომხმარებლების დაცვა მონოპოლიების კონტროლირებად ინდუსტრიებში ფასების ზრდისგან. მოცემულ პერიოდში 1800-ზე მეტი შერწყმა-შესყიდვის გარიგება განხორციელდა რომელთა უმეტესობაც კრახით დასრულდა. მოცემული ტალღა პირველი მსოფლიო ომის დაწყებით შეფერხდა.

შერწყმა-შესყიდვის მეორე ტალღის პერიოდში (1926-29) გამკაცრდა ანტიმონოპოლიური საკანონდებლო სისტემა ამერიკაში რამაც გამოიწვია ილიგოპოლიებისა და ვერტიკალური გაერთიანებების აღმასვლა სხვადასხვა ინდუსტრიებში. ეს პერიოდი გამოირჩევა ამერიკის ეკონომიკური ზრდითა და გიგანტი კომპანიების ჩამოყალიბებით. ქვეყანაში კაპიტალზე ხელმისაწვდომობის შედეგად ხორციელდებოდა შერყწმა-შესყიდვის მრავალი გარიგება რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საფონდო ბირჟის კრახი. მოცემული პერიოდი დასრულდა დიდი დეპრესიის ფონზე.

მესამე ტალღა შერწყმა-შესყიდვის ბუნების ცვლილებითაც გამოირჩეოდა მოცემულ ეტაპზე ხდებოდა დიდი კონგლომერატების სხვადასხვა ინდუსტრიებში დივერსიფიცირება და ბაზრის წილის მოპოვება, ამის გამომწვევი მიზეზი კი იყო

ამერიკის ანტიმონოპოლიური სისტემა. რომელიც კრძალავდა ისეთი შერწყმის და შესყიდვის გარიგებების დადებას რომელიც კონკურენტულ გარემოს ვნებდა. ამერიკის კონგრესი კი აქტიურად იყო ჩართული მოცემული პროცესებში და ძალისხმევას არ იშურებდა შეეჩერებინა მსგავსი გარიგებები.

მეოთხე ტალღა 80-იანების დასაწყისში დაიწყო და გამოირჩეოდა კონკურენტი კომპანიების აგრესიული შთანთქმებით მათი მენეჯმენტის სურვილისდა საწინააღმდეგოდ აქციების ყიდვით და ას.შ. ეს პერიოდი გამოირჩევა მისი მასშტაბურობით და ასევე მოიხსენიებენ როგორც ,,მეგა შერწყმების'' პერიოდს.მოცემული ეტაპი დასრულდა 80-იანების მიწურულს ბევრი კომპანიის კოლაფსით.

წერწყმა შესყიდვის შემდეგი ეტაპი 90-იანების დასაწყისში დაიწყო და ფაქტიურად შეიძლება ითქვას რომ ეს იყო მეოთხე ტალღის ფართომასშტაბიანი გაგრძელება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო მეოთხე ეტაპზე დაშვებული ყველა შეცდომა და შესაბამისად გარიგებები მიმართული იყო გრძელვადიანი სარგებლის მოტანაზე. მოცემული ეტაპი ასევე ითვლება შერწყმა-შეყიდვების ოპერაციების ოქროს ხანად და ასევე მოხისენიებენ როგორც შეწრყმა-შესყიდვის საერთაშორისო პირველ ტალღად.

მეექვსე ტალღა 21 საუკინის თითქმის პირველი ათწლეული გასტანა ეს პერიოდი ბაზარზე დოლარის ჭარბი რაოდენობით გამოირჩეოდა რაც ეკონომიკის სტიმულირებისათვის ამერიკის ფედერალური სისტემის სარგებლის განაკვეთის დაწევით იქნა წამოწყებული. რამაც გამოიწვია კონგლომერატების დაბანდებების ზრდა გადაჭარბებულად შეფასებულ აქციებში შედეგად 2007 წელს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მომსწრენი გავხდით.

2014 წლიდან დღემდე კი შერწყმა შესყიდვის მეშვიდე ეტაპის მომსწრენი ვართ. (Kasradze,2017)

ზემოთაღნიშნულ სტატისტიკას რომ დავუბრუნდეთ HBR - Harvard Business Review-ს მიერ შესწავლი იქნა 2500 შერწყმა-შესყიდვის გარიგება და აღმოჩნდა რომ 70-90% მოცემული გარიგებების ცუდი შედეგით დასრულდა ან როგორც მინიმუმ ვერ იქნა თავდაპირველი მიზანი მიღწეული.

მიუხედავად ასეთი უარყოფითი სტატისტიკისა მულტინაციონალური კომპანიები მაინც აგრძელებენ მოცემული სტრატეგიის აქტიურ გამოყენებას არამხოლოდ ადგილობრივ არამდე საერთაშორისო დონეზეც.

მოცემულ გარიგებების ტიპები რა თქმა უნდა გამოირჩევიან უპირატესობებით და ნაკლოვანებებითაც.

უპირატესობები:

- ბაზარზე პირდაპირი წვდომა
- საწარმოო დანახარჯების შემცირება
- შემოსავლების და მოგების ზრდა
- გეოგრაფიული არეალის ზრდა
- და სხვა

ნაკლოვანებები:

- მონოპოლიის საშიშროება
- კულტურათაშორისი განსხვავებები
- შერწყმისა და შეძენის სტრატეგიის განხორციელება შეიძლება იყოს მაღალ დანახარჯებთან დაკავშირებული
- ანტიკონკურენციული გარემო
- და სხვა

2.4 საინვესტიციო პოლიტიკის ტენდენციები და საქართველო

2018 წელს 55 ქვეყანამ 112 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი კანონი მიიღო აქედან 2/3 მიმართული იყო საინვესტიციო პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ ახალი ინვესტიციების მოზიდვის მოტივებით ხოლო 1/3 ახალი მარეგულირებელი საინვესტიციო კანონებისა მიზანმიმართული იყო საინვესტიციო პოლიტიკის გამკაცრებისკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 2004 წლიდან მოყოლებული ლიბერალური საინვესტიციო პოლიტიკის ახალი მარეგულირებელი კანონების კლების ტენდენცია შეინიშნება ხოლო საინვესტიციო პოლიტიკის გამკაცრებისკენ მიმართული კანონების ზრდა. (იხ.ცხრილი 9)

ახალი ლიბერალური კანონები შეეხო ისეთ ინდუსტრიებს როგორებიცაა: სოფლის-მეურნეობა, მედია, სამთო-მომპოვებითი მრეწველობა, ენერგეტიკა, ფინანსები, ტრანსპორტირება, ტელეკომუნიკაციები, და ინტერნეტ ბიზნესებს. 66% ლიბერალური საინვესტიციო პოლიტიკისკენ მიმართული ახალი კანონებისა ინიცირებული იყო აზიის განვითარებადი ქვეყნების მხრიდან. გარდა ამისა გაგრძელდა უცხოელი ინვესტორებისათვის ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივების ტენდენციაც ზოგიერთმა ქვეყანამ ონლაინ პორტალებიც კი შექმნა ინვესტორებისთვის.

ასევე რიგმა ქვეყნებმა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გარკვეული ინდუსტრიების წახალისებაც კი დაიწყეს საინვესტიციო პოლიტიკის ცვლილებებით.UNCTAD 2019

ცხრილი 9



წყარო: UNCTAD,2019 Investment Policy Hub.

*66% საინვესტიციო პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები

*34% საინვესტიციო პოლიტიკის გამკაცრებისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები

განვითარებულმა ქვეყნებმა ასევე დანერგეს საინვესტიციო პოლიტიკის მარეგულირებელი ისეთი კანონები რომელიც მიმართულია ეროვნული უსაფრთხოების ზომების გამკაცრებისკენაც.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები დიდი როლს თამაშობს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობაზე და მის ინდუსტრიულ განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუდვიმი და ინდუსტრიისთვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და ინფორმაციის მიწოდება პოტენციური ინვესტორებისათვის მიუხედავად მსგავსი ღონისძიებების მაღალი ხარჯებისა.

ასევე სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს ფისკალურ და ფინანსურ ასპექტებსაც რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა ინვესტორების მხრიდან როგორებიცაა შემცირებული საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო შეღავათები რომელიც ცალსახად ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინტერესების ზრდას ქვეყანაში.

შემცირებული ბიუროკრატიული პროცესები რაც დროსა და ფინანსური რესურსების დაზოგვას უწყობს ხელს ასევე მნიშვნელოვ როლს თამაშობს ინვესტორების მოზიდვის პროცესში.

თუმცაღა ამასთან ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებიც არ უნდა დაგვავიწყდეს როგორებიცაა ქვეყნის რეგიონალურ და გლობალური ინტეგრაციის ხარისხი, ეკონომიკური განვითარების დონე, ინფრასტრუქტურული განვითარების დონე , მაღალ კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა და სხვა.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ქვეყანაში უკვე არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შენარჩუნებაც და მათი ზრდის ხელშეწყობაც, სახელმწიფო უნდა ერეოდეს მოცემული ინვესტიციების კოტროლში თუმცაღა გადამეტებულმა მოქმედებებმა შეიძლება ინვესტორი დააფრთხოს ხოლო უკონტროლობამ ქვეყნის არსებული რესურსების ბოროტად გამოყენებისკენ უბიძგოს, მნიშვნელოვანია ფრთხილი და დაბალანსებული პოლიტიკის განხორციელება რაც ხელს შეუყობს და სტაბილურ გარემოს შეუქმნის ინვესტორს, ამასთან უბიძგებს მულტინაციონალურ კომპანიებს უფრო მაღალი ხარისხის კავშირები დაამყაროს ადგილობრივ კომპანიებთან.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისას სამთავრობო სტრუქტურები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი ქვეყნის მაღალკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში და მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს მაღალი რესურსების მქონე მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობას რათა არ მოხდეს მათი მხრიდან ადგილობრივი კომპანიების გამოძევება ბაზრიდან.

კოსმოპოლიტიზმიც ერთ-ერთი ის ფაქტორია რასაც ყურადღებით კონროლი ჭირდება ვინაიდან ქვეყნის დაბალი ეკონომიკური განვითარების ფონზე

მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ ეროვნული ბიზნეს განვითარების საწინააღმდეგო იდეოლოოგის გავრცელება გრძელვადიან ჭრილში მაღალი სარგებლის მისაღებად.

მულტინაციონალური კომპანიების კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კონკრეტული ინდუსტრიის განვითარებაზე.

90-იან წლებთან შედარებით შეიძლება ითქვას რომ საქართველოს საინვესტიციო გარემო საკმაოდ მიმზიდველია რაც ძირითადად განპირობებულია ბიზნესის დაწყების და რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურებით ამასთან სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მეშვეობით დაინტერესებული ინვესტორების მხარდაჭერას რიგ საკითხებში როგორებიცაა:

- ინვესტორების წარმომადგენლობითი ფუნქციების შეთავსება ადმინისტრაციულ ორგანოებთან და პირებთან ურთიერთობაში
- საინვესტიციო საქმიანობებისათვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების აღება
- ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებებისას რაც იქნება წინასწარ განსაზღვრული ხელშეკრულებაში.

მოცემულ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელებას სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ანაზღაურებების საწყისებზე რაც თანხმდება სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან. ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელებისას შესაძლოა მომსახურების საფასური გადახდისგან განთავისფულება რაც გაწერილია საქართველოს კანონში ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, მუხლი 3.

ხოლო კანონში საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია,

დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი, განსაზღვროს ინვესტორის უფლება მოვალეობები დააწესოს აკრძალვები და შეზღუდვები, განსაზღვროს დავების გადაწყვეტის წესები და სხვა (საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ).

მიუხედავად ბოლო ათწლეულებში განხორციელებული რეფორმებისა და საინვესტიციო კანონმდებლობის განვითარებით საქართველო მაინც ვერ ახერხებს შესაბამისი რაოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში რაც ეკონომიკური განვითარების ჭრილში მნიშვნელოვანი ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორი გახდებოდა. ამას თან ერთვის დაძაბული და არასტაბილუირ პოლიტიკური გარემოებები რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოსა და რუსეთს შორის და ძაბული პოლიტიკური პროცესებით რის ფონზეც შეიძლება ითქვას რომ ინვესტორები ხედავენ თუნდაც მცირე შანს სიტუაციის გართულების მოცემულ რეგიონში რაც გამოიწვევს მათი დაბანდებების დაკარგვის რისკის ზრდას, შესაბამისად მოცემული ფაქტორებიც გასათვალისწინებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასებისას.

თავი 3. მულტინაციონალური კომპანიები და საქართველო

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები საქართველოში

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა შეიძლება ითქვას, რომ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგანაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე იდგა მათ შორის იყო შესაბამისი მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმა რომელიც

ხელს შეუწყობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინება როგორებიცაა: სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის ქონა, დაბალი გადასახადები და ლიბერალური საკანონმდებლო რეგულაციები, იაფი ან/და კავილიფიცური მუშა ხელი, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, კოროფციისგან თავისუფლება და სხვა (Forbes).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავინახოთ საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა. (იხ.ცხრილი 10)

დღევანდელი მეთოდოლოგიით რასაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს პირდაპირ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია თუ მისი წილი საწარმოს კაპიტალში 10%-ზე მეტია. საწარმოს საკონტროლო პაკეტის ფლობა აუცილებელი არ არის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად ითვლება სესხებიც თუ ვალდებულებებით საწარმოს აქტივები იტვირთება.

ცხრილი 10



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

*მლნ დოლარი

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა 1996 წლიდან იწარმოება, შესაბამისად ბოლო 24 წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 20 893 000 000 დოლარი.წელიწადში საშუალოდ 870.5 მილიონი დოლარი.აქედან ყველაზე მსხილ ინვესტორებად კვლავ რჩებიან აზრებაიჯანი-2.7 მილიარდი დოლარდით, ნიდერლანდები-2.2 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს დიდი ბრიტანეთი-2.1 მილიარდი დოლარით.

აზერბაიჯანის და დიდი ბრიტანეთის ინვესტიციები ძირითადად უკავშირდება საქართველოზე გამავალ ნავთობისა და გაზის მილსადენებს, რომელიც აზერბაიჯანულ ნავთობსა და გაზს თურქეთთან აკავშირებს.

იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ თუ რა გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებაზე საჭიროა მოცემული სტატისტიკა ინდუსტრიების მიხედვით განვიხილოთ. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური ინდუსტრიებს შემდეგნაირად ყოფს: სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, სამთომოპოვებითი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება, უძრავი ქონება, საფინანსო სექტორი და დანარჩენი სექტორები. (იხ.ცხრილი 11)

ცხრილი 11



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

*შენიშვნა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ინდუსტრიების მიხედვით აღრიცხვა იწარმოება 2007 წლიდან, შესაბამისად მოცემული ცხრილი დაყრდნობილია 2007-2018 წლების მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ინვესტიციების აკუმულირება მოახდინა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინდუსტრიამ და გაუტოლდა 3 839 $ მილიარდ დოლარს ეს სექტორი პირველ ადგილს მილსადენ ტრანსპორტში ჩადებული ინვესტიციების გამო იკავებს.

მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის ინდუსტრია 2 149 $ მილიარდი დოლარით რაც ძირითადად ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობებს უკავშირდება, მესამე ადგილზე არის დამამუშავებელი მრეწველობა 1 917 $

მილიარდი დოლარით ხოლო მეოთხე და მეხუთე ადგილზე არიან საფინანსო და მშენებლობის სექტორები შესაბამისად 1 854 $ და 1 586 $ მილიარდი დოლარით. ყველაზე ნაკლები ინვესტიცია კი ამ წლების განმავლობაშ სოფლის მეურნეობის სექტორში ჩაიდო საერთო ჯამში 150.6 $ მილიონი დოლარი.

3.2მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის გავლენა და შედეგები.

ნათელია, რომ მულტინაციონალურ კომპანიებს ცალსახად შეუძლიათ დადებითი გავლენა იქონიონ ადგილობრივი ინდუსტრიისა თუ კომპანიების განვითარებაზე რაც უპირობოდ მნიშვნელოვანია ისეთი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის როგორიც საქართველოა.

ზემოთ ნაჩვენები სტატისტიკის საფუძველზე შევეცდებით გავარკვიოთ თუ რა როლს თამაშობენ მულტინაციონალური კომპანიები საქართველოს ყველაზე ინვესტირებად სექტორებში და რამდენად დადებითი თუ უარყოფითი გავლენა აქვს მოცემულ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული გავლენების შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ და გავცეთ პასუხები რიგ შეკითხვებს როგორებიცაა :

- რამდენად არიან ინტეგრირებულნი მულტინაციონალური კომპანიები ადგილობრივ ეკონომიკაში ?
- რამდენად დიდ გავლენას ახდენს მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობები ექსპორტზე
- მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ცოდნის გაზიარების ხარისხი
- რამდენად კომპეტენტურები არიან ადგილობრივი კომპანიები მულტინაციონალურ კომპანიებთან კავშირების დასამყარებლად.
- რის საფუძველზე ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტურობის ზრდა ?

- რამდენად უწყობს ხელს მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ახალი ტექნოლოგიების დანერგმა ადგილობრივ კომპანიებთან კავშირების ხარისხის ამაღლებას.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში ყველაზე მაღალ ინვესტირებადი ინდუსტრიები: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (23%), ენერგეტიკა(13%),დამამუშავებელი მრეწველობა (12%), საფინანსო სექტორი (11%) და მშენებლობა (10%)

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა იკავებს პირველ ადგილს პუი-ს მიმზიდველობის თვალსაზრისით,ამავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს 2017 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება დაფიქსირდა და 2017 წელთან შედარებით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 34.9 %-ით დაიკლო, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებით.

მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოცემული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივებზეც და შევაფასოთ თუ რამდენად პასუხობს იმ კითხვებს რომელზეც ცოტა ხნის წინს ვისაუბრეთ.

მოცემული ინვესტიციები შემოდინება ტრანსპორტირებისა და კავშირგაბმულობის ინდუსტრიაში ძირითადად ხორციელდება აზერბაიჯანისა და დიდი ბრიტანეთის მეშვეობით და ისეთი მულტინაციონალური კომპანიაა მოცემული ინვესტიციების შემომტანი საქართველოში როგორიცაა ,,ბრითიშ პეტროლეუმი''.

გაზსადენის პროექტების განხორციელებისას დროის სხვადასხვა პერიოდში (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამხრეთ კავკასიის მილსადენების მშენებლობისას) დაახლოებით 6000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები დასაქმდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავია უნდა გავითავისწინოთ ისიც რომ ეს მაჩვენებელო წარმოადგენს ბოლო 23 წლის ჯამს

ამასთან დასაქმებულთა დიდი უმეტესობა წარმოადგენს ფიზიკურ შრომაზე დაქირავებულ მუშებს.

ასევე აღსაღნიშნავია ისიც, რომ მოცემულ პროექტში ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი კომპანიებიც თუმცაღა არც ცოდნის გაზიარების და არც ტექნოლოგიური განვითარება ადგილობრივი კომპანიებისა არ მოყოლია მათ ჩართულობას მოცემულ პროექტებში აღარაფერს ვამბობთ გრძელვადიანი კავშირების დამყარებაზე.

მოცემული ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასებისას შეიძლება თამამად ითქვას, რომ აღნიშნულ ინვესტიციებს ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენს საექსპორტო ინდუსტრიის მაჩვენებლების ზრდაზეც. ცოდნის გადაცემაზე, კავშირების დამყარებაზე, ინდუსტრიის ტექნოლოგიურ განვითარებაზე და სხვა.

თუმცაღა უნდა ითქვას ისიც, რომ თითზე ჩამოსათვლელია ქართული ადგილობრივი მაღალკომპეტენტური კომპანიები რომლებიც მაღალი დონის ურთიერთქმედების ხარისხით გამოირჩევიან და მიზანმიმართულნი არიან მულტინაციონალური კომპანიების გამოცდილებისა და ცოდნის ათვისებისკენ.

ენერგეტიკა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით სიდიდით მეორე ინდუსტრიას განეკუთვნება. ენერგეტიკის სექტორი და ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობებით გაუტოლდა 2 149 $ მილიარდ დოლარს რაც საქართველოში შემოსული მთლიანი ინვესტიციების 13% წარმოადგენს.

ინვესტიციების შემოდინება ენერგეტიკის სექტორიში ძირითადად განპირობებულია ჰიდროელექტროსადგურების, თბოსადგურების მშენებლობით და ქარის ელექტროსადგურების მიმართულების განვითარებით.

„თიბისი კაპიტალის“ კვლევის თანახმად მოცემული ინვესტიციების ნაკადების დინება ქვეყნის ეკონომიკაში კვლავ შენარჩუნდება. საქართველოში ელექტრო ენერგიის გამომუშევება ბოლო 6 წლის განმავლობაში მის მოთხოვნას ჩარორჩება.

კვლევის მონაცემებს თუ დავეყრდნობით 2023 წლისთვის მოსალოდნელი ელექტროენერგიის ზრდის ფონზე ნავარაუდებია, რომ ელ.ენერგიის მოხმარება 28%-ით გაიზრდება ანუ გაუტოლდება 16.1 ტვტ სთ-მდე.

შესაბამისად მოცემული სექტორი კვლავ შეძლებს ინვესტიციების მოზიდვას და არსებული დინამიკის შენარჩუნებას იმის ფონზე როცა ინტერესი როგორც მსხვილი ასევე 5-10 და 20 მეგავატიანი ჰესების დაფინანსებაზე უცხოელი ინვესტორების მხრიდან სულ უფრო და უფრო მატულობს.

თუმცაღა არსებული ინვესტიციების მოტივები ძირითადად დაფუძნებულია მის მიმზიდველ მომგებიანობის მაჩვენებელზე და არსებული ინვესტიციების გრძელვადიანობაზე.

შესაბამისად ვერც მოცემული ინვესტიციები ვერ მოქმედებს დადებითად, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის განვითარების მიმართულებით, დასაქმების დონეც მოცემულ სექტორში ქვეყანაში არსებულ სურათს ვერ ცვლის, ინვესტორებსა და ადგილობრივ კომპანიებს შორის ურთიერთქმედების ხარისხიც დაბალია, არ და ვერ ხორციელდება ცოდნის და გამოცდილების გაზიარება რაც დაეხმარება ქართულ კომპანიებს კომპეტენციის ამაღლებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდის მოზიდვის მიმართულებით მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებს დამამუშავებელი საფინანსო და მშენებლობის სექტორები იკავებენ შესაბამისად 1 917 $,1 854 $ და 1 586 $ მილიარდი დოლარით ბოლო 24 წლის განმავლობაში. მოცემული მაჩვენებლები წლიურ ჭრილში 79,8 , 77.2 და 66 მილიონ დოლარს უტოლდება რაც თუნდაც საქართველოს ზომის ხელა პატარა ქვეყნისთვისაც კი დაბალი შედეგების მომტანია და რეალურად ვერ ახდენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას როგორებიცაა: ტექნოლოგიური განვითარება, ცოდნის გადაცემა, ადგილობრივი კომპანიების კომპეტენციის ამაღლება, ექსპორტის ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები რომელიც შემოედინება საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე გავლენას ვერ ახდენს ადგილობრივი კომპანიების განვითარებაზე, ცოდნის გადაცემის და გაზიარების დონეც ინოვაციურ მიდგომებთან ერთად შეუმჩნეველია.

სიტუაციაში უკეთესად გასარკვევად უნდა გავერკვეთ პირველ რიგში იმ გამომწვევ მიზეზებში რაც შეიძლება მოქმედებდეს მოცემულ ფაქტორებზე.

მულტინაციონალური კომპანიები როგორც წესი არც პროდუქტისა და არც მომსახურების მიმართულებით არ მიისწრაფიან ითანამშრომლონ ადგილობრივ კომპანიებთან ვინაიდან არც პროდუქტისა და არც მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება იმ სტანდარტებს რაც მულტინაციონალურ კომპანიებს გააჩნიათ და ძირითადად სათაო ოფისის მიწოდებულ რესურსებს იყენებენ.

სხვადასხვა კვლევებიც რომელიც მითითებულია ლიტერატურულ წყაროებში ადასტურებს, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ყველაზე მაღალი ეფექტი აქვს იმ დროს როცა მულტინაციონალური და მიმღები ქვეყნის ეკონომიკები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან, წინააღმდეგ შემთხვევებში ინვესტორებს უწევთ სხვადასხვა ბარიერების გადალახვა ადგილობრივ ფირმებთან კავშირების ხარისხის და დონის ასამაღლებლად.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერად ასევე უნდა ჩაითვალოს ინდუსტრიების ტექნოლოგიური ჩამორჩენა რაც ძირითადად გამოწვეულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკის კრიზისული ეტაპებით და ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგ დაიწყო.

როგორც ავღნიშნეთ მულტინაციონალური კომპანიების ქვეყნების ეკონომიკური გარემო მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს ეკონომიკური გარემოს განვითარების დონისგან შესაბამისად დგება კავშირების დამყარების პრობლემაც სხვადასხვა ბიზნეს გარემოებში მუშაობის გამო, ნაკლები ურთიერთქმედების შედეგად მულტინაციონალური კომპანიები დარგის არც ცოდნის, არც გამოცდილების და არც სიახლეების გაზიარებით არ გამოირჩევიან რომელიც თავის მხრივ აისახება ადგილობრივი კომპანიების პროდუქციისა თუ სერვისის ხარისხზეც.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მოტივების მიხედვით თუ დავყოფთ მათი ინტეგრირების ხარისხი ადგილობრივ ბაზარზე ფაქტიურად უმნიშვნელოა.

ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მულტინაციონალური კომპანიების ინტეგრაციისა ადგილობრივ ბაზარზე არის კვალიფიციური კადრების პრობლემა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება თითქმის ყველას გააჩნია აღნიშნული საკითხი ისევ ღიად რჩება რაც რა თქმა უნდა ხელს უშლის მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური მულტინაციონალური კომპანიების ინტერესს და მათ შემოსვლას ქვეყანაში.

UNCTAD 2016 - კვლევის თანახმად გაცვლითი კურსის არასტაბულურობა და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობაც განსაზღვრავს პირდაპირი უცხური ინვესტიციების ნაკადების ზრდას ან კლებას.

საქართველოში ინვესტორების მიერ დასახელებულ ძირითად პრობლემების სიას განეკუთვნება ისეთი პრობლემები როგორებიცაა: კორუფცია, ბიუროკრატია, გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ინფლაცია, არაკვალიფიციური კადრები, მოძველებული ტექნოლოგიები, არასაკმარისი ინფრასტრუქტურა, შესაბამისი პარტნიორის მოძებნა, არადახვეწილი საკანონმდებლო სივრცე, არასტაბილური ეკონომიკური გარემო, არასტაბილური პოლიტიკური გარემო.

იმისთვის, რომ ქვეყანამ შეძლოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და შენარჩნება უნდა გადაილახოს ზემოთაღნიშნული გამოწვევები და ჩამოყალიბდეს მშვიდი პოლიტიკური გარემო ასევე გამახვილდეს აქცენტები ექსპორტის ზრდაზე ორიენტირებული ინვესტიციების მოძიებაზე.

საქართველოს მთავრობა აქტიურად უნდა იყოს ჩართული მულტინაციონალური კომპანიების მოზიდვაში და ქვეყნის ინტერესების გატარებაში რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალურად ეფექტურად ათვისებას შეუწყობს ხელს.

ამასთან ნათლად უნად იყოს გამოკვეთილი თუ პუი-ს რა მოტივაციებს შეუძლით მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღების განვითარებას და აუცილებელია გამოიკვეთოს შესაბამისი ინდუსტრიები.

ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი კომპანიების კომპეტენციის ამაღლებას, ტექნოლოგიურ განვითარებას.

მაგალითად რესურსების და ეფექტიანობის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში უფრო მაღალი დადებითი გავლენების მომტანია ქვეყნისთვის და დადებითად მოქმედებს ექსპორტის ზრდაზეც.

საქართველოს კანონში რომელიც მიმართულია ინვესტიციების მხარდაჭერისკენ აღნიშნულია რომ ინვესტორს რომელიც ანხორციელებს 8 მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას აქვს უფლება მოითხოვოს სახელმწიფოსგან მნიშვნელოვანი სტატუსის მინიჭება ხოლო მოცემულ გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამისი ერთეულები.

აუცილებელია მსგავსი გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულ იქნას ასევე ინვესტიციების მოტივაციების მიზნები და მათი შესაძლო შედეგები.

ითანამშრომლებს თუ არა ის ადგილობრივ კომპანიებთან, შეუწყობს თუ არა ხელს ადგილობრივების დასაქმების ზრდას, გადაამზადებს თუ არა ადგილობრივ კადრებს მოახდენს თუ არა ექსპორტზე დადებით გავლენას და სხვა.

ამი მიმართულებით უკეთესი შედეგების მისაღებად სასურველია მოხდეს კვლევისა და განვითარების მიმართულების განვითარება ქვეყანაში,რომელიც მიზანმიმართულად მოახდენს შესაბამისი ინდუსტრიების მიხედვით ადგილობრივი კადრების გადამზადებასაც მათი ცოდნის და კომპეტენციის ამაღლებას.

მოცემული ფაქტორების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა განსაკუთრებით არსებული ტენდენციების გათვალისწინებით რაც საქართველოშია, როცა მულტინაციონალური კომპანიების მხრიდან ძირითადად

ხდება მოკლევადიანი ინვესტიციების განხორციელება კონკრეტული მიზნების მისაღწევად და მათი საქმიანობა ქვეყანაში არ აღემატება საშუალოდ 4-5 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კასრაძე თ,საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ,,ეკონომისტი'' #5, 2014
2. კასრაძე თ, განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული ძირითადი პოლიტიკე , ჟურნალი ,,კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტის მაცნე'' #6, 2014
3. კასრაძე თ, კომპანიების ჭერწყმა და შესყიდვის (შთანთქმის) გლობალური ტენდენციები.კონფერენციის:''გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში'' შრომების კრებული, თსუ,თბ, გვ.239-245,2017 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf?fbclid=IwAR2qMiNxiMC3E0Uuoid5aGume4KzTUaOLNCWJypy_mMnVkuo2VF4x5H7nIk

4. ქურდაძე შ, (2018)-პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე https://openscience.ge/bitstream/1/4/3/B-%20%e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%90-%e1%83%a5%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%93%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%94.pdf

5. MacDougall G.D.A. (1960) 'The Benefits and Costs of Private Investments from Abroad: A Theoretical Aapproach', *Economic Record* 36, 15-35.

6. De Mello L. (1999) 'Foreign Direct Investment-Led Growth: Evidence from Time Series and Panel Data', *Oxford Economic Papers* 51(1), 133-151
7. Chan V.-L. (2000) 'FDI and Economic Growth in Taiwan's Manufacturing Industries', in Takatoshi I. and A.O. Krueger (eds.) *The Role of Foreign Direct Investment in East Asian Economic Development*, 349-366, Chicago University Press, Chicago.
8. Borensztein E., J.D. Gregorio and J.-W. Lee (1998) 'How Does Foreign Direct Investment Affect Economic Growth?', *Journal of International Economics* 45(1), 115-135.
9. Hein S. (1992) 'Trade Strategy and Dependency Hypothesis: A Comparison of Policy, Foreign Investment, and Economic Growth in Latin America', *Economic Development and Cultural Change* 40(3), 495-521.
10. Singh R.D. (1988) 'The Multinational's Economic Penetration, Growth, Industrial Output, and Domestic Savings in Developing Countries: Another Look',

Journal of Development Studies 25(1), 55-82.

11. Hirschman A.O. (1958) *The Strategy of Economic Development*, Yale University Press, New Haven.
12. Altenburg T. (2000) 'Linkages and Spillovers between Transnational Corporations and Small and Medium-Sized Enterprises in Developing Countries Opportunities and Policies', in UNCTAD (ed.) *MNC-SME Linkages for Development. Issues – experiences – best practices.* Proceedings of the Special Round on MNCs, SMEs and Development, UNCTAD X, 15 February, 3-61, Bangkok, United Nations, Geneva.
13. Scott-Kennel J. and P. Enderwick (2005) 'FDI and Inter-Firm Linkages: Exploring the Black Box of the Investment Development Path', *Transnational Corporations* 14(1), 13-23.
14. Hansen M.W. and H. Schaumburg-Müller (eds.) (2006) *Transnational Corporations and Local Firms in Developing Countries – Linkages and Upgrading*, Copenhagen Business School Press, Copenhagen.
15. Markusen, J. R. (1989). Service trade by the multinational enterprise. In P. Enderwick (Ed.), Multinational service firms (pp. 35-59). London: Routledge.
16. Fernández, M. T. (2001). Performance of business services multinationals in host countries: Contrasting different patterns of behaviour between foreign affiliates and national enterprises. The Service Industries Journal, 21(1), 5-18
17. Rugman, A. M., & Verbeke, A. (2008). A new perspective on the regional and global strategies of multinational services firms. Management International Review, 48(4), 397-411
18. Scott-Kennel, J., & Enderwick, P. (2005). Foreign direct investment and interfirm linkages: Exploring the black box of the investment development path. Transnational Corporations, 14(1), 105-137.
19. Carolina Del Pilar Salcedo Claramunt, The impact of foreign direct investment on the local Chilean industry, The University of Waikato, 2010..
20. Kundu, S. K., & Merchant, H. (2008). Service multinationals: Their past, present and future. Management International Review, 48(4), 371-377
21. Kundu, S. K., Kumar, V., & Peters, S. (2008). Impact of ownership and location factors on service multinationals' internalisation. The Service Industries Journal, 28(5), 567-580.
22. Root,(1994) Entry Strategies for International Markets
23. . Grosse, R. (2000). Knowledge creation and transfer in global service firms. In Y. Aharoni, & L. Nachum (Eds.), Globalization of services: Some implications for theory and practice (pp. 217-232). London: Routledge.
24. Joseph M. Grieco and G. John Ikenberry "The Economics of International Trade and Finance"
25. Dirk Willem te Velde.(2001) Foreign Direct Investment and Income Inequality in Latin America Experiences and policy implications
26. 7 John H. Dunning, The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, International Business Review 9 (2000) 163-190
27. UNCTAD, 2004 World Investments Report- The shift towards services https://unctad.org/en/Docs/wir2004_en.pdf
28. UNCTAD, 2006 World Investment Report- FDI from Developing and transition Economies: Implications for Development https://unctad.org/en/Docs/wir2006_en.pdf

29. UNCTAD, 2010 World Investment Report

https://unctad.org/en/Docs/wir2010_presentation_en.pdf

30. UNCTAD 2016- World Investment Report
https://unctad.org/en/PublicationsLibrary/dom2017_en.pdf

31. UNCTAD 2019-World Investment Report- Special Economic Zones

https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2019_overview_en.pdf

32. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi,

33. KOF Globalisation Index 2019

https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

34. The world Bank –Easy of doing Busines Index

https://data.worldbank.org/indicator/IC.BUS.EASE.XQ

35. ბესო ნამჩავაძე-რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს
https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs

36. საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ
http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/sainvesticio_politika/2-LAW_OF_GEORGIA_ON_STATE_SUPPORT_FOR_INVESTMENTS_geo.pdf

37. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ
http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/sainvesticio_politika/1-LAW_OF_GEORGIA_ON_PROMOTION_AND_GUARANTEES_OF_INVESTMENT_ACTIVITY_geo.pdf

38. გამოწვევები და პერსპექტივები ენერგეტიკის დარგში
https://forbes.ge/news/6986/gamowvevebi-da-perspeqtivebi-energetikis-dargSi